№ 156 ივლისი 24, შაბათი 1893 ივლისი 24, შაბათი № 156

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## პასუხი ერთს საკითხავზე

—

განყენებულ აზრებთა სფერაში არის ისეთი აზრებიც, რომელიც ყოველთვის ყოფილა სასარჩლო და საბაასო და იქნება კვლავაც.

დიდ ბუნებოვანნი და მაღალის ზნეობის კაცნი ვერაოდეს ვერ სთანხმდებიან, რომ თავის აზრის გასამარჯვებლად გადახდენ საზოგადობრივ ზნეობის წესს და იხმარონ ყოველი საშვალება. ხოლო მოხერხებულთა და ცხოვრების ჭახრაკებში დახელოვნებულთათვის კიდევ უფრო უეჭველია და ჭეშმარიტი, რომ სასურველ აზრის მისაღწევად შესაძლებელია და სავალდებულოც დარღვეულ იქმნას თვით უმაღლესი ზნეობის პრინციპები და ხმარებულ იქმნას ყოველი ღონე: „რომში მიმავალი გზა ყველა კარგიაო“, ამბობენ ეს უკანასკნელნი.

რომში მიმავალი გზა, იქნება, ყველაც ვარგოდეს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ რომზე და იმის გვარ საგნებზედ შეიძლება ითქვას?

მაგრამ, როდესაც ყოველი ზნეობრივი წესი და ყოველი მართებულობა დარღვეულ და შებღალულ შეიქმნება იმისთვის, რომ რომელსამე დაწესებულებაში ალაგი მოიპოვოთ და თვე თვეზე კასსირისაგან ათ-ათ თუმნიანები ჩაილაგოთ ჯიბეში—ვერ ვიტყვით, რომ ეს მოსაწონი და თანაგრძნობის ღირსი საქციელი იყოს!?

გამარჯვების სურვილი, რასაკვირველია, კანონიერია ყველა კაცისათვის, მაგრამ აქედან ის აზრიკი არ იბადება, რომ ყოველს გამარჯვებას უნდა შეეწიროს მსხვერპლად, რაც უფრო ძვირფასი და უმშვენიერესია ადამიანში: სიმართლე, თავ-მოყვარეობა, სიმტკიცე, და თვით პატიოსნებაც! ამ ნაირის საშვალებით დაპყრობილი ბრძოლის ველი მეტს ვნებასა და სირცხვილს სძენს გამარჯვებულს, ვიდრე დამარცხებას.

იქ, სადაც საზოგადობრივი ცხოვრება არსებობს, რასაკვირველია, ბრძოლაც არის და, რა თქმა უნდა, ყოველი მხარე გაცხარებულად მეცადინობს, შრომობს, რომ გამარჯვება მოუპოვოს თავის აზრებს. რამდენადაც ეს აზრები და პრინციპები წმინდა და მაღალის ხარისხისანი არიან, იმ ზომამდე მეცადინეობაცა და ბრძოლაც—კეთილშობილი და პატიოსანია. მაგრამ, როდესაც საზოგადოება მხოლოდ ვისიმე გულისთვის იწუხებს თავს და თითონ უმთავრესი საგანი საზრუნველი მივიწყებულია, და ყველაფერი ამ ერთის კაცის ირგვლივ ბრუნავს, მაშინ საზოგადობრივი ცხოვრების სურათი, ვერ ვიტყვით, სასიამოვნო სანახავი იყოს!

მაშ ეს რაღა არის, გვიპასუხებენ, რომ გლადსტონი სალისბერის ებრძვის, კლეველენდი გარრისონს და სხ? განა ესენიც კაცები არ არიან და იქ ხომ მთელი ინგლისი და ამერიკა ორ დასად გაყოფილა და ყოველი დასი თავის კანდიდატის გამარჯვებას სცდილობს?!.

დიაღ, ესენიც კაცებია, მაგრამ ისეთი კაცებია, რომელნიც ერის ცხოვრების განხორციელებული პროგრამმა არიან. იქ, ინგლისში, ყოვლვემა მეკენჭემ იცის გლადსტონი რას ნიშნავს და სალისბერი რას! და ამიტომ იქ თითონ გლადსტონზე და სალისბერზე-კი არ არის უთანხმოება: რომელი სჯობია ამ ორშიო, არამედ იმ სხვადასხვა დროშაზედ, რომელიც ამათ უჭირავთ ხელში.

მაგრამ, როდესაც ჩვენებურ საქმეებს გვინდა შევეხოთ, მაშინ ის ზომა, რომელიც იხმარება ამერიკაში და ინგლისში—არ გამოგვადგება. აქ, ჩვენში, თითონ სფერაც მოქმედებისა საზოგადო მოღვაწისა მტკიცედ შემოფარგლულია, და სასურველია მხოლოდ, რომ არჩეული კაცი ამ შემოსაზღვრულს წრეს არ გადასცდეს.

მაშასადამე, დასაფასებელად თითეულის კანდიდატის ღირსებისა უმთავრესად მიღებული უნდა იყოს სახეში ის აზრი, თუ რამენად მტკიცედ და კანონიერად შეეძლება რომელსამე იმათგანს წესდების შესრულება და ეცდება დაამყაროს წესიერება და კანონი.

ამასთან, თუ ერთი კანდიდატი არავითარს საშვალებასა და მეცადინეობას არა ხმარობს, რომ იქმნას არჩეული, და წარმოსდგება მეკენჭეების წინაშე გამსჭვალული ერთის მხოლოდ საზოგადო სამსახურის სურვილით, და მეორეკი ამ დროს გაცხარებულად მეცადინობს, აგროვებს კენჭებს, ეწევა შეუფერებელ ხარჯს და მასპინძლობს—მაშინ ამ ორ კანდიდატთა შორის სამართლიანის ბუნების პატრონის ადამიანისათვის არ არის ძნელი, თუ რომელს მისცეს უპირატესობა და მიანიჭოს თავისი თანაგრძნობა.

„მაგრამ იმისთვის, რომ მეკენჭემ დაადგინოს თავისი განაჩენი—ჯერ საჭიროა მოვიდეს, და შეიძლება ზოგ მეკენჭეს მოსვლის ღონეც არ ჰქონდეს—მაშინ რა უნდა ჰქმნას იმ გუნდმა, რომელიც დარწმუნებულია თავის საქმის სამართლიანობაზე და სიწმინდეზე?“ ამაზედ ვიტყვით გარდაწყვეტით: ამ მხრით—სრულიად არაფერი! ფულის დახმარებით, დაჯილდოვებით და მოსყიდვით გაკეთებულ საქმისა ჩვენ არა გვწამს რა. ეს ისეთი საფრთხილო ბილიკია, რომელზედაც დღეს გამარჯვებულმა შეიძლება ხვალ კისერი მოიტეხოს, რადგანაც მოწინააღმდეგემ შეიძლება კიდევ მეტი დახარჯოს? წმინდა საქმე წმინდა საშვალებით უნდა გარიგდეს, თორემ „რაჲა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“

მეველე

—◆◆—

# ახალი ამბავი

—

*** 22 ივლისს, მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორის ასულის და მის უმაღლესობის დიდის მთავრინას მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელწოდების დღეს, სიონის ტაძარში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, რომელსაც დაესწრო გენერლობა, მაღალი მოხელეობა, ქალაქის თავად-აზნაურთა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. პარაკლისის გათავებისას ზარბაზნის სროლა იყო არსენალიდგან.

პარაკლისი გადიხადეს ყველა სარწმუნოებათა ეკკლესიებს და სამლოცველოებში.

ქალაქი დილიდგანვე ბაირაღებით მოირთო და საღამოს ჩირაღდანი გაიმართა.

*** 22 ივლისს სურამის გვირაბთან მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ვლადიმირისა და მის ყოვლად-უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ გარდახდილ იქმნა პარაკლისი და იკურთხა თლილის ქვის სვეტი (ობელისკი) იმის სახსოვრად, რომ 1888 წელს აქ ბრძანდებოდნენ, გვირაბის ცასათვალიერებლად, მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ავგუსტოესის შვილებითურთ. ეს ობელისკი დაუდგამთ ინჟინერ სიმბერგის ზედამხედველობით, გვირაბის ახლოს. აგებულია ობელისკი თლილის ქვით; ათი საჟენი სიმაღლე აქვს უარწივოდ. ობელისკის თავზე ბრინჯაოს ორ-თავიანი არწივია გაკეთებული. ერთ მხარეს ობელისკზე მიკრულია თითბრის ფიცარი, რომელზედაც რუსულად აწერია, რის გამოც არის დადგმული ეს ობელისკი. კურთხევის შემდეგ საგანგებო მატარებლით მიწვეულნი წამოვიდნენ ხაშურს, სადაც გამართული იყო საუზმე. სხვათა შორის, ობელისკის კურთხევას ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვიც დაესწრო.

*** იმ ახალშენის გამგებლად, რომელიც დ. სურამს ახლო არსდება მცირეწლოვან დამნაშავეთათვის, მოწვეული იყო აგრონომი ვ. პოტებნია. ეხლა ბ-ნი პოტებნია უარს ამბობს თურმე და ახალშენის გამგებელის ადგილი თავისუფალია.

*** 21 ივლისს ქალაქის გამგეობას საჯარო ვაჭრობით გაუცია იჯარით ქალაქის მამული მართლმადიდებელ სასაფლაოსთან, სადაც შენობებისათვის ქვასა სჭრიან. წინად ეს ადგილი იძლეოდა იჯარას 400 მან., ეხლა-კი გაცემულა 520 მანეთად.

*** ვერის ხიდის იატაკის შეკეთება გაიცა იჯარით 33 მან. 32 კ. თითო ოთხ-კუთხი საჟენი.

# ფელეტონი

—

## დედა-ბერი სამსონი

პოლ ეზისა *)

შემოდგომაზე მონსოს ბაღი კოპწიაა და ნაზის სევდით გამოიყურება ხოლმე. მცენარეები აქ ისე ადრე არა ტიტვლდება, როგორც პარიჟის სხვა ბაღებსა და ჭალებში... ხეების უმრავლესობას თავისი მწვანე სამკაული ისევა რჩება; ისინი-კი, რომელთაც ბუნება ადრე აშორებს ფოთოლს, მორცხვად და გულ-სევდიანად ესალმებიან თავიანთ ნაზს ტანთსაცმელს.

ფოთოლი ძირს ჩამოვარდება თუ არა, მებაღეები მაშინვე აგროვებენ და გარედ გააქვთ. ამიტომ იქ კაცი ვერა ნახავს ქარისაგან ატაცებულს და ჰაერში ათამაშებულს ფოთოლს.

ყოველ დილას ჰგვიან ბაღის ბილიკებს, ჰკვეცენ უადგილო-ადგილს ამოსულ ბალახს, უშნოდ გამოშვერილ ხის ტოტებს; სცდილობენ ბაღს თავისი ლაზათი არ დაეკარგოს, მაგრამ ამაოდ. ბუნება ყოველთვის თავისას გაიტანს...

ზაფხულის ბრჭყვიალა ყვავილები გაჰქრა, წინანდელი ელფერი დაეკარგა იქაურობას, ყველაფერს მუქ მწვანე ფერი გადაჰკრავს, ადგილ-ადგილ ხეების ბნელი ტანი და ქვის ყორეები გამოჩანს.

— მუქ-მწვანე ფერი ყავის ფერს ძალია მოუხდება, გაიფიქრა გიორგობისთთვის ერთს მშვენიერ დილას ქ-ნმა დე-ვირმონისამ, ლისაბონის ქუჩაზე მცხოვრებ ბანკის პატრონის ცოლმა და თავის ახალ კაბის შლეიფს გადახედა. ერთბაშად დედობრივის სინაზით აღევსო გული და ზარი დააწკარუნა.

—უთხარით, კარეტაში ცხენები შეაბან,—უბრძანა შემოსულს გოგოს,—და ჟერმენამ ჩემი გოსტონი მომგვაროს. მინდა მე და ის დღეს მონსოს ბაღში წავიდეთ.

წინედ თავის ხუთის წლის ვაჟს გამდელს ჟერმენას აყოლებდა სასეირნოდ, თითონ-კი ბულონის ტყეში მიდიოდა მარტო.

გახარებული გოსტონი მალე შემოცქრიალდა.

დიდხანს არ გაუვლია. დედა-შვილი კარეტიდგან ბაღის განიერს ხეივანთან ჩამოხტნენ.

წინა ღამეს ჰყინავდა და რთვილის კვალი აქა-იქ კიდევ ემჩნეოდა. ცივი, სუფთა ნიავი ნაზად ეალერსებოდა პირისახეს და ძვირფას ქურქში გახვეული დე-ვირმონისა სიამოვნებით სუნთქავდა.

თან უცინოდა გოსტონს, რომელიც მის გარშემო ციკანივით დახტოდა. ბავშვი თავის მუქის ფერის ხავერდის ტანისამოსში, კოხტად დახურულ ტყავის ქუდით, მეტად სასიამოვნო სანახავი იყო. დედა თავის შვილს მხიარულად შესცქეროდა და უნებურად სხვა, იქვე მოთამაშე ბავშვებს ადარებდა. იმის გოსტონივით მოხდენით ჩაცმული აქ არავინ იყო. მერე თავის თავზე დაიწყებდა ფიქრს და კმაყოფილებასა ჰგრძნობდა: ხედავდა, რომ გარშემო მოფენილ მცენარეების ბუნებრივი სინარნარე ასე შეხარებული იყო მის საკუთარს სიკეკლუცესთან.

რა საუცხოვო დღეა!.. რა კარგია სიცოცხლე!..

გოსტონმა დედა გუბისაკენ წაიყვანა, სადაც ჰყუმპალაობდა მთელი გროვა იხვებისა. უყურეს კარგა ხანს იმათ თამაშობას, ფრენას, ცურვას, ცილაობას პურის ნატეხების დაჭერაში.

მერე უცბად გოსტონმა წამოიძახა:

— დედი, შენი ჭირიმე, ერთი სუ მომეცი.

— ერთი სუ? დაეკითხა დედა,— მერე რად გინდა?

— დედაბერ სამსონთან შაქრის პურები მინდა ვიყიდო. ჟერმენა, როცა აქ მოვდივართ, ყოველთვის მაძლევს ხოლმე თითო სუს.

— სახლში ხომ უამისოდაც ბევრი გაქვს ტკბილეულობა და ამაზე უკეთესიც, რაღა აქ მოგინდა ჭამა!

— მე-კი ეს შაქრის პური უფრო მომწონს-და. აბა, წამო, გაჩვენო, რა სასაცილო საყურებელია. დაატრიალებ მანქანას—ამოვა ნომერი; რა ნომერიც შეგვხდება—იმდენს შაქრის პურს მიიღებ. თუ მესამე ნომერი ამოგივიდა—სამს მიიღებ. ყველაზე დიდი ნომერი თორმეტია, მაგრამ ეს ნომერი ჯერ არც ერთხელ არ შემხვედრია. წამო, დედილო, შენი ჭირიმე, წამო, ერთი ნახე-და!

— კარგი, ხათრს არ გაგიტეხ, წავიდეთ შენს დედაბერთან, დასთანხმდა ქ-ბნი დე-ვირმონისა.

გოსტონმა მეტის სიხარულით ტაში დაჰკრა, ერთი შეხტა და წინ გაიქცა. ბაღის კარებთან რო მიირბინა, სადაც დე-კურსელის ბულვარი იყო, მხიარულად შესძახა: „აი, აქ არის!“ და მოხუცს დედაკაცზე მოუთითა, რომელიც უბრალო დაბალ სკამზე იჯდა და წინ თუნუქის ყუთი ედგა.

დედა მიუახლოვდა შვილს და ერთი სუ მისცა.

სანამ გოსტოთი მანქანის დატრიალებულ ისარს გაფაციცებით და მო-

*) პოლ ეზი ფრანგების ახალგაზდა მწერალია, ემილ ზოლას სკოლისა.

*** კავკასიის სამკურნალო გამგეობის ლაბორატარიაში უცდიათ ლეფლერის მიერ მოგონილი მინდვრის თაგვის სახოცი წამალი (თაგვის სახადი) და აღმოჩნდა, რომ მართლა მალე ვრცელდება და ადვილადაც ჰხოცავს თაგვსა.

*** ქალ. ტფილისის სასანიტარო ზედამხედველმა გ. მ—ძე პავლოვმა გუშინ ბ-ნ პოლიცმეისტრის მოადგილეს გამოუცხადა, რომ მას აღარა სურს ამ თანამდებობის აღსრულება, რადგანაც დრო არა მაქვსო.

*** ოთხშაბათს, შუა ღამისას, დიდ წვიმის დროს ნიაღვარი ჩავარდა კრასნო გორსკის ქუჩაზედ ნაზაროვის სახლის ქვემო სართულში, სადაცა სცხოვრობდა ბ-ნ ეგანოვის სახლობა რვა წვრილ შვილით. ეგანოვებს ეძინათ და, თუ პოლიციის ბოქაულის ბ-ნი დერიპაცკი პოლიციელებით არ მიშველებოდა, საბრალოები დაირჩობოდნენ წყლით გავსილ ოთახეგში.

*** ქალაქში კინტოებს დააქვთ ქუჩა-ქუჩა თაბხებით საქონლისა და ცხვრის ხორცი და 4 კაპ. ჰყიდიან გირვანქას, როდესაც ნიხრით 8—9 კაპეიკია. სასურველია გამოიკვლიონ ამის მიზეზი ქალაქის გამგეობის მოხელეებმა. ხორცს სიცუდე არა ეტყობა-რა თურმე, ახალია, მსუქანი და კარგის ფერისა. თუ საქონელი იაფია, რატომ ქალაქის გამგეობა არ შესცვლის ნიხრსა?

*** კავკასიის საექიმო უწყების უფროსი ექიმი გლავაცკი ბაქოს გაემგზავრა, რათა გამოიკვლიოს ის ხოლერის მინაგვარი საეჭვო ავადმყოფობა, რომელზედაც ამას წინად გვქონდა ნაამბობი.

*** ს. ცხინვალი: 25 ივლისს, გორის საქალაქო სასწავლებლის ი. ზ. ტერ-სტეფანოვის მეთაურობით გაიმართება სახალხო სეირნობა ლოტარეა ალეგრით ცხინვალის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. პროგრამმის მიხედვით, სეირნობა საინტერესო უნდა იყოს.

*** ქიზიყი: თუმცა არც წელს არის კვლავინდებური მოსავალი, მაგრამ შარშანდელზედ-კი უკეთესია. წლევანდელი მოსავალი რომ კვლავინდებურად არ გაიფლანგება, ამისი საბუთები ხელთა გვაქვს. შარშრანდელმა პურის ნაკლებულობამ ხალხს ჭკუა ასწავლა, ეხლა უფრო ხელს უჭერს პურსაცა და ქერსაც. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, ჩვენებურს მედუქნეებს აღეკრძალათ კალოებზედ გასვლა და იქ ვაჭრობა, თუმცა თითო ოროლა მაინც გაძვრა და ისვრის ბადეს. პურისა და ქერის მოსავალი მაგდენი არაფერია. ყვლის მოსავალმა ხომ ძალიან იკლო. კვლავ რომ კაცის თავზედ 25—30 კვერს იღებდნენ, წელს თორმეტ-თორმეტი ძლივს ამოსულა. წელს ყველის ფასმა უნდა აიწიოს, რადგანაც ეს ყველის სიმცირე საერთოა, როგორც ლეკის მთაში, აგრეთვე თრიალეთზედაც.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სუხუმის ეპისკოპოზი ავაფოდორი გადაყვანილ იქმნება სტავროპოლშიო.

*** გაზ. Каспій იუწყება, რომ ცნობილ ნავთის მწარმოებელს ბ-ნ ტაგიევს განუზრახავს დააარსოს თავის ხარჯით ბაქოს ახლო, სოფ. მარდაკიანში, საპანსიონო სკოლა მუსულმანთა ყმაწვილებისათვის. ამ საქმისთვის ბ-ნ ტაგიევს გადუდვია 30,000 მან. და ნება-დართვის თხოვნაც უკვე მიურთმევია მთავრობისათვის.

*** გაზეთი Русск. Жизнь იუწყება, რომ ტფილისის გუბერნიაში 1088 მცხოვრებმა—ბერძენმა, ოსმალეთის ქვეშევრდომმა, გამოაცხადა სურვილი რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებისა.

*** 22 ივლისს ორთაჭალაში სოფ. თაქლიას მცხოვრებელი რაჯაბ უღურჯ-ოღლი მტკვრიდამ წყალს იღებდა, ჩავარდა და დაირჩო.

*** ამავე დღეს პოლიციის მეექვსე ნაწილში ტფილისის მცხოვრებელი ქვრივი სერებრიაკოვისა, 85 წლისა, ჭკუა შეშლილობისა გამო ბალკონიდამ მტკვარში გადავარდა და დაირჩო.

---

**უმაღლესი რესკრიპტი ეჩმიაძინის უწმიდესის პატრიარქ-კათალიკოზის მკირტიჩის სახელზედ.**

უწმიდესო პატრიარქ კათალიკოზო ეჩმიაძინისა მკირტიჩ.

დიდის ხნის თქვენმა სასულიერო ასპარეზზედ მოღვაწეობამ მოუპოვა თქვენს უწმიდესობას ნდობა სომხის ერისა, რომელმაც აღგირჩიათ თქვენ წმ. გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის საპატრიარქო ტახტზედ ასასვლელად.

ვხედავ-რა თქვენს მღვდელ-მთავრულ მოქმედებაში იმედს ესოდენ ჩემ-მიერ საყვარელ სომხის ეკკლესიის სიკეთისას და მის ძეთა სასულიერო წარმატებისას, უმოწყალესად გიბოძებთ თქვენ, ბარტყულაზედ სატარებლად, ალმასის ჯვარსა—ნაკურთხს ნიშანს სარწმუნოებისას, განმახნევებელს მწყემსთაცა და სამწყსოთაცა.

მივანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, ვგიებ მარად თქვენდა მწყალობლად.

ნამდვილს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ალექსანდრე“

პეტერგოფს,
11 ივნისს 1893 წ.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დაბა ოჩემჩირე.** ერთხელ ერთის ჩემ მეზობლის სახლს წაეკიდა ცეცხლი და სულ ერთიანად გადიბუგა. მამა-კაცები სახლში არ იყვენ და დედა-კაცებმა, ნაცვლად იმისა, რომ ცოტად მაინც ცეცხლი გაანელონ, ან თავსა და ავეჯს უშველონ, მორთეს ერთი ჩხუბი დაუწყეს, ერთმანეთს ცემა-ტყეპა და ცეცხლ მოკიდებულ სახლში აკვანში მძინარე ბავშვი-კი მიატოვეს. ცეცხლზედ მეზობლები მოგროვდენ და ბავშვი ცეცხლ მოკიდებულ სახლიდან გამოიყვანეს და სტიქიონს პირიდან გამოაცალეს. სწორედ უნდა მოგახსენოთ, დაბა ოჩემჩირის მდგომარეობა დღეს მაგონებს იმ ბავშვის ამბავს. ივლისი დადგა და ჩვენი დაბა, დიდი ხანია, შეიკაზმა ჩვეულებრივის უსუფთაობით; მუშა ხალხის მოძრაობა, სხვა და სხვა ცეცხლის გემებისა და ხომალდების მისვლა-მოსვლა დღითი დღე მატულობს; ზღვის პირზედ გაშენდა მაღაზიები; ერთის სიტყვით, დიდი მოძრაობაა ხალხისა. ამოდენა მუშა-ხალხისა და პირუტყვისაგან დატოვებული სიბინძურე მთელს დაბაში ჰაერსა სწამლავს. დამპალის წყლით, ჭაობიან ადგილებით და ბითა ბინძურის ჭებით, ხომ ჩვენი დაბა მდიდარი არის და არის.

ყველა ამების შემაყურალი ჩვენი საზოგადოება დღეს, იმის ნაცვლად, რომ თავს უშველოს, გაყოფილა ორ დასად, აუღია ხელი ყველაფერზედ; დავიწყებია ისა, რომ ხოლერა რუსეთის ქალაქებში დათარეშობს, და მისჩერებიან ერთმანეთს, რომელმა რომელი წაავაქციოთ, რომელმა რომელს გავუთხაროთ სამარეო. მარტის დამლევს აქ მოგვივიდა სოხუმის სასანიტარო კომიტეტის მიერ დადგენილი წესდება, სავალდებულო სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის; ამ წესდების ძალით ოცდახუთს აპრილამდე უნდა შედგენილიყო დაბა ოჩემჩირეში სასანიტარო დასები, უნდა შესდგომოდნენ დაბის გასუფთავებას. აგერ ივლისი შენახევრდა, არც სანიტარები გვინახავს, არც იმათი მოქმედება. ამბობენ, რომ შარშანდელი სიები არის წარდგენილი და იმ სიებში დასახელებულნი ითვლებიან სანიტარებათაო, მაგრამ ცოცხალი-კი არის ყველა შარშანდელი სანიტარები, შეუძლიან წელსაც იკისროს სანიტარის მოვალეობა თუ არა —ეს არავის არ უკითხავს და არც კითხულობს. ან-კი რა საჭირო არის ამის კითხვა. ახალ სასანიტარო მზრუნველების ამორჩევა თითქმის შეუძლებელია აქ, მიტომ რომ ყველანი ერთი მეორეს უბღვერიან და ფეხებში უყურებენ ერთმანეთს, სარმა როგორ გამოვკრა და პირალმა გავშალოვო. ამიტომ სჯობიან, რომ ისევ იმ შარშანდელ სიებში მოხსენებული მზრუნველები დარჩენ; საკვირველი ის არის, რომ ამ გვარს საშიშარსა და გასაფრთხილებელ დროში, ნაცვლად იმისა, რომ დაბის ჯანმთელობაზედ ვიზრუნოთ, ვიმეცადინოთ, აგვიღია თავი და ვჯიბრობთ, რომელი მოხელე გამოვცვალოთ და რომელი დავაყენოთ.

მამასახლისის არჩევის გამო საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად: ერთის მხარე სამოცზე მეტს ადგილობრივს ვაჭრებს უჭირავთ და მეორესი—დანარჩენთ. ამ უკანასკნელ დასის საჩივრითა და ადგილობრივის განყოფილების უფროსის წარდგინებით, ძველი მამასახლისი ჯერჯერობით თანამდებლობიდან გადაყენებულია. ამ გარემოებამ გამოიწვია სხვა და სხვა გვარის საჩივრებისა და „დანოსების“ წერა; მამასახლისის მომხრენიც თავგამოდებულნი არიან დი იმათი მოწინააღმდეგენიც, ჩვენი საქმეები დღეს აწეწილ დაწეწილია და მის გასასუფთავებლად ჩვენი საზოგადოება, ვინემ ამ ჩხუბსა და დავიდაბრაბას არ მორჩება, ისე ვერ მოიცლის, როგორც ზემო ხსენებულ ჩხუბში გართული დედაკაცები, რომელთ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ ცეცლიდან ბოვშის გამოყვანა

ბახ...ლია.

---

**ლეხურის ხეობა** (გორის მაზრა), 21 ივლისს. ის განკარგულება, რომ შვიდ სამამასახლისოშ: კასპისამ, აღაიანისამ, ოკამისამ, ლამისყანისამ, სამთავისისამ, ჭალისამ და საკორინთოსამ, ერთი ნასწავლი მამასახლისი უნდა ამოირჩიოსო, რომელზედაც ამას წინად გწერდით, დღეს სისრულეში უნდა მოეყვანათ. 21 ივლისს ს. ქვემოჭალას, ბოქაულის დაბარებისამებრ, შეიკრიბა შვიდი ზემოხსენებული სამამასახლისო (კომლზედ კაცი). გამჭრიახი მეთვალყურე მაშინვე შეატყობდა ამ ხალხს, რომ ყველას უკვე გადაწვეტილი აზრი აქვს და მხოლოდ ფორმალურად არიან მოსულნიო. ერენი არხეინად ხეების და კედლების ჩრდილოში წამოწოლილიყვნენ და დაკარგულ დღის ნანვით ელოდნენ მთავრობისაგან გამოგზავნილ და მზად იყვნენ მაშინვე წასულ-წამოსულიყვნენ. შეიქნა პირველი საათი და მობრძანდნენ ისინიც ვისაც ადგილობრივ უნდა გაეკეთებინათ ეს საქმე. მათ მოჰყვენ ბევრი სამამასახლისოდ გინმზადებული კანდიდატოებიც. სხვათა შორის, შემთხვევით, დაესწრო აქ ნიკოლოოზ იაკინთეს ძე ალექსეევ-მესხიშვილი, სუხუმის მომრიგებელი შუამავალი რომელმაც ტკბილ და მდაბიო ქართულ ენაზედ აუხსნა ხალხს

---

უთმენლად თვალს ადევნებდა, დედა უნებლიედ მოვაჭრე ქალისაკენ მიბრუნდა. მას წარმოუდგა გრძელი, საშინლად გამხდარი, ყვითელ მწვანე, დაჭმუჭვნილი, ეტრატის მსგავსად დამჭკნარი პირისახე, რომელზედაც ძლივს-ღა ბჟუტავდა ღრმად ჩაცვივნული, მოწყენილი, მაგრამ ჭკუის გამომხატველი თვალები. საცოდავს ქალს გაფიჩხებული ხელები უკანკალებდა. მოკუზულს წელზე მატყლის დაკონკილი შალი მოეფარებინა; ქარის ოდნავ შემობერვაზე აჟრჟოლებდა.

ამ მოხუცის ნახვამ ქ-ნნი დე-ვირმონისა ტანში მოშალა. მას წარმოუდგა სურათი იმ სისაწყლე-სიღატაკისა, რომელიც პარიჟის ზოგიერთ მცხოვრებთა ხვედრია. რამ აიძულა ეს უძლური დედაკაცი ამ სიცივეში გარედ იჯდეს, იმის მაგიერ, რომ თბილს ოთახში მოსვენებით იყოს, ყველაფრით კმაყოფილი, უზრუნველი? რა იყო მიზეზი, რომ ის, ამ მოხუცებულობის დროს და ამ ნაიარდ, ბაღის შესავალში უნდა იჯდეს და შაქრის პურები ჰყიდოს? მაშ, ეტყობა, არავითარი სალ'არი აქვს ცხოვრებისა, არა ჰყავს არც ქმარი, არც ვაჟი, არც ქალი და არც გულის შემატკივარი.

ათასი ამ გვარი კითხვები უტრიალებდა თავში ქ-ნ დე-ვირმონისას. ამ ქალის საცოდაობით გული ეწვოდა.

— მეათე, დედილო, მეათე ნომერი ამომივიდა, ერთბაშად წამოიძახა გოსტონმა და დაიწყო ცქმუტვა-ხტუნაობა.

მოხუცმა სამსონმა თავისის გამხმარის ხელებით ყუთს თავი აჰხადა, ნელა ამოიღო პურების ასხმული და გოსტონს მისცა, რომელმაც თავისი პაწაწა ხელები აღტაცებით გაუწოდა.

ბავშვის ყვირილმა ბ-ნ დე-ვირმონილი, ფიქრებში გართული, გონს მოიყვანა. აჩქარებით ჯიბიდგან ხუთ ფრანკიანი ამოიღო, ყუთის თავზე დასდო და წასვლა დააპირა.

მოხუცმა თავი მაღლა აიღო და ხმა ამოუღებლივ ფულზე უჩვენა. ქ ნი დე-ვირმონისა მიხვდა, რაც უნდა ეთქვა დედაბერს.

— მაპატიეთ, მორცხვად წაიტუტუნა, დასწვდა ფულს და საჩქაროდ წავიდა. გოსტონი უკან დაედევნა და, რაც ძალა და ღონე ერჩოდა, უდარდელად ილუკმებოდა შაქრის პურებით.

დედაბერს ქარმა დაჰბერა და კანკალმა აიტანა. მისი ჩამქრალი და ნაღვლიანი თვალები ჩაიბჟუტნენ და დედაბერი ისევ ღრმა ფიქრს მიეცა.

II

ამ დღეს ქ-ბნ დე-ვირმონს არა ერთხელ წარმოუდგა მოხუცის სახე და ყოველ მოგონებაზედ რაღაც ჟრჟოლელი დაუვლიდა ხოლმე ტანში. საღამოს, როცა ბ-ნი ბუავო ეწვია, ამ ბებერზე ჩამოუგდო სიტყვა, სთხოვა ცნობები შეეკრიბნა ამ საწყალზე და შეეტყო, შეიძლებოდა თუ არა მისთვის რაიმე დახმარება აღმოეჩინათ. ბატონმა ბუავომ ხმა დაბლა, ნაზის სიტყვებით თავის თანამომუსაიფის გულ-კეთილობას ქება შეასხა და ყველაფრის შეტყობას დაჰპირდა. მდიდარმა ქალმაც დამშვიდებულის სინიდისით, მხიარულად ტიტინი დაიწყო თავის ორს სტუმართან—ორ ახალგაზდა მშვენივრად ჩაცმულ კაცებთან—მომავალ ნადიმობაზე ავსტრიის საელჩოში.

ბატონი ბუავო სამოცის წლისა იქმნებოდა. თეთრი თმა და წვერი, ფაქიზად გამოპარსული ნიკაპი, მშვენიერი ტანისამოსი და ეგეთივე ფეხსაცმელი—ყველა ეს კაცს მიზეზს აძლევდა პირველ გაცნობისათანავე ის იმ წრის ხანში შესულ კაცებში ჩაერიცხა, რომლებზედაც, საზოგადოდ, ამბობენ ხოლმე: „ეს პატივცემული მოხუცია“. მაგრამ ცოტა კარგად რომ დააკვირდებოდით, გამოვიდოდა, რომ ასეთი აზრი სინამდვილეს დაშორებული იყო. რაღაც ნაირი თავისებური ღიმილი, ქვედა ტუჩის ათამაშება და თვალების გაყოლ-გამოყოლება, თვალის-თვალში გაყრა, თუ მიბინარება—სულ სხვა რასმე აფიქრებინებდა გამოცდილ კაცს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დიდკაცური, ფაფუკი ხელები ჰქონდა და ქცევასა და მიხვრა-მოხვრაში ბადალი არა ჰყავდა. მისი ნაზი და ალერსიანი ხმა კაცს ყურში სასიამოვნოდ ეწვეთებოდა; თავის დღეში ხმას არ აამაღლებდა და სიტყვა სიტყვაზე წყნარის ნაკადულივით ამოსდიოდა პირიდგან. ზნეობაზე დაიწყებდა თუ არა ლაპარაკს, რაც იმას მეტად უყვარდა, ხმის აწევ-დაწევა ტკბილად ეალერსებოდა ყურს. და როდესაც თვალებს ზეცისაკენ აღაპყრობდა და ქებას დაუწყებდა „ჯვრისა და წმინდა ბენედიქტეს დებს“, „საქრისტიანო სკოლების ძმებს“, ყველა ჯურის და ყველანაირის ტანისამოსის ბერებსა და მონოზნებს,—მისი ლაპარაკი ლოცვად შეიცვლებოდა. თავ-შეუკავებლობა, მისის აზრით, მიუტევებელი ცოდვა იყო.

ბ-ნი ბუავო იმის გარდა, რომ მონაწილეობას იღებდა მრავალს სასულიერო საზოგადოებაში, ასრულებდა აგრეთვე სეკრეტრის თანამდებობას მრავალ საქველ-მოქმედო კომიტეტებში. ნაკისრს მოვალეობას ისეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის ვითარება. აუხსნა ჯერ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ მამასახლისს, თუ როგორი კაცი უნდა ამოერჩიათ და დაბოლოს ურჩია, რამოდენად უმჯობესია ერთის ნასწავლ მამასახლისის ყოლა შვიდ სამამასახლისოსთვისს, ვიდრე შვიდის უსწავლელის მამასახლისის. ხალხმა გულდასმით მოისმინა ბ-ნ მესხიშვილის მამაშვილური დარიგება, მაგრამ, როცა საქმე მიდგა კითხვაზედ, აბა ვინა გსურთ მამასახლისადო, ხალხმა ერთხმად იგრიალა: „არ გვინდა". „არ გვინდა, არ გვინდა ნასწავლი მამასახლისი, გვეყო ამდენი ყვლეფა, ისევ ჩვენმავე გვჭამოს, ჩვენმავე გაგვატყავოს, ის გვირჩევნია... ჩვენსას, რასაც გვინდა, იმას ვეტყვით და შევჩივლებთ... ის-კი ბატონობით და ბრძანებლობით სულს ამოგვართმევს. არ გვინდა, არა, არა"!.. სჭექდა ხალხი. გაგონითაც-კი არ უნდოდათ გაეგონათ და აქეთ-იქით იფანტებოდნენ. ბევრს ეცადა, ბევრი ურჩია, ვისიც ჯერ იყო, რომ დაეყოლიებინა ხალხი და ამოერჩევინა მამასახლისი, დაემუქრა კიდეც, რომ, თუ თქვენ არ ამოირჩევთ, მთავრობას, რაკი გადაწყვეტილი აქვს, ის თითონ გამოგიგზავნით მამასახლისსაო, მაგრამ ვერც ტკბილმა სიტყვამ და ვერც მუქარამ ვერ გასჭრა. ხალხს თავისი გადაწყვეტილება ჰქონდა და ამ გადაწყვეტილებაზედ მტკიცედ იდგა. ხალხმა ცხადი უარი განაცხადა და შემოსავლიან ადგილისთვის გამზადებული კანდიდატები ხახა გამშრალი გაბრუნდნენ. საქმე ჯერ-ჯერობით ასეა და შემდეგ რა იქნება, ამას მომავალი შეგვატყობინებს.

ა. ბ.

## რუსეთი

საპატიმროთა უმაღლეს გამგეობის ანგარიშიდანა სჩანს, რომ რუსეთში 1891 წელს 875 საპატიმრო ყოფილა; აქედგან პატიმართა გასამრწვთნელო — 32 ბ კატორგელთათვის — 11.

1 იანვარს 1892 წელს ყოფილა დაპატიმრებული 73,519 კაცი და 8,266 ქალი, სულ 81,785 სული.

რავდენი სახელმწიფო ინატრებს ამოდენა ჯარს.

მომეტებული ნაწილი განაჩენებით ყოფილა დაპატიმრებული — 34,407 კაცი და ქალი; სამართალში მიცემულნი — 20,194 კაცი და ქალი; პატიმართა სამწვრთნელოებში — 7,351 კაცი. გზად მიმავალნი პატიმარნი — 4,715 კაცი და ქალი; ციმბირში გაგზავნილნი — 2,651; სხვა პატიმარნი — 757, გაგზავნილთა ცოლშვილი, ნებაყოფლობით მიმავალი — 2,058 კაცი და ქალი.

საანგარიშო წელს დახარჯულია საპატიმროებზე 5,587,031 მან.

ესეც ზოგ სახელმწიფოს ეყოფა ხარჯად.

აქედგან მოხელეთა და მცველთა ჯამაგირზე დახარჯულა 1,612,573 მანეთი. თვით პატიმართ-კი მოჰხმარებია 3,749,749 მან. სხვა ხარჯი 224,710 მან.

875 საპატიმრო საკმაო არა ყოფილა და ზოგს ადგილს ახალი შენობები აუგიათ, ზოგან კიდევ ძველი გაუფართოებიათ, სხვათა შორის, მეტეხის ციხეც ტფილისში.

საანგარიშო წელს ახალი საპატიმროები შენდებოდნენ, სხვათა შორის, შემახაში, რისთვისაც გადადებული იყო 55,000 მან., ყუბაში (წინა წელს გადადებულ ფულით), და ქუთაისის საპატიმროს აფართოებდნენ — 25,000 მან. პეტერბურგშიაც ახალი შენობები აუგიათ. მხოლოდ ერთს შენობაზედ — გზად მიმავალ პატიმართათვის, გადადებული ყოფილა — 175,000 მანეთი.

ოდესაშიც ახალი საპატიმრო აუგიათ და ამისთვის გადაებული ყოფილა 839,180 მან.

ზოგ საპატიმროებში იმაზედ მეტი ყოფილა დაპატიმრებული, რის დატევაც შენობას შესძლებია, და ამის გამო ავად მყოფობა გახშირებულა. ას კაცზედ ავად ხდებოდა 15—16. ყველაზე ნაკლები ავადმყოფობა ყოფილა ქ. ბაქოსა, სიმფეროპოლში, სიმბირსკსა და პეტერბურგში (1—3 კაცი ასზედ).

ჭზუაზედ შეშლილა წლის განმავლობაში 967 კაცი და 254 ქალი, სულ 1,221 სული.

გაქცეულა 294 პატიმარი; ამათგან ისევ დაუჭერიათ 133 და მოუკლავთ 7.

ავკაცობა პატიმართა შორის ძალიან ცოტა ყოფილა: თავის მოკვლა, ანუ მოკვლის სურვილი, უფროსთა წინააღმდეგობა და კედლების გათხრა გასაქცევად ყოფილა რვარვა; პატიმარის მოკვლა პატიმართამიერ, ყალბის ფულის ჭრა, ცეცხლის წაკიდება — თითოჯერ; ცეცხლი გაჩენილა ორჯერ; წესი დარღვეულა ოთხჯერ. სულ ამ ნაირი მოვლენა 42 ყოფილა.

ნუთუ პატიმარნი უფრო მაღლა დგრან ზნეობით, ვიდრე ბევრნი თავისუფლად ქალაქებში მოპარპაშენი?

## უცხოეთი

**გერმანია.** ახალმა მომატებულმა ტარიფმა გერმანიაში დიდი შთაბეჭდილება იქონია, მაგრამ გაზეთები ამბობენ, რომ არც ამ მომატებას ექმნება დიდი მნიშვნელობაო. ამ უკანასკნელის სამის წლის განმავლობაშიო, ამბობენ გაზეთები, გერმანია არ საჭიროებდა რუსეთის პურსა, რადგანაც დიდ-ძალი პური მოჰქონდათ დასავლეთ ევროპაში ჩრდილო-ამერიკიდგან, არგენტინიდგან, ჩინეთიდგან და ავსტრალიიდგან. ამ მიზეზის გამო რუსეთს ისეთი მნიშვნელობა აღარა აქვს ევროპისთვის, როგორიც უწინა ჰქონდა. 1892 წელსაო, სწერს გაზეთი „Berliner Tageblatt", რუსეთიდგან გერმანიაში მოტანილ პურის ფასმა დაიწია 60 მილიონ მანათამდე. 1893 წელს უფრო ნაკლები პური მოტანილა გერმანიაში რუსეთიდგან. მომეტებულ ტარიფის შემოღება უფრო სასარგებლო იქმნება იმ სახელმწიფოთათვის, რომელთაც დიდი სადამოჟნო გარდასახადი არ აწევთ. ეს სახელმწიფოები გერმანიას თავის პურს მიჰყიდიან და თითონ-კი რუსეთიდგან მოიტანენ. რუსეთს ევროპის საზღვრებზედ გაუტანია სულ 400 მილიონ მარკის საქონელი. ეჭვი არ არის, რომ მომეტებულ სადამოჟნო გარდასახადის შემოღების გამო რუსეთიდგან საზღვარ გარედ საქონლის გატანა ძლიერ შემცირდება.

— თურმე სიამის საქმე გერმანიისთვისაც დიდად საინტერესო უნდა იყოს. გერმანელებს დიდი ვაჭრობა აქვთ სიამში. ფოსტა-ტელეგრაფის საქმეც გერმანელების ხელში ყოფილა. აგრეთვე სიამის სხვა-და-სხვა დაწესებულებაში უფროსებად თითქმის სულ გერმანელები ყოფილან. მაგალითად, ბანგკოკის ნავთ სადგურის უფროსი გერმანელი ყოფილა, გვარად ვილი; რკინის გზების უფროსიც გერმანელია, გვარად ბეტჩე და სხვ. და, რაც უფრო საყურადღებოა, სიამის ჯარის აფიცრები უმეტეს ნაწილად გერმანელები ყოფილან.

**ბელგია.** ბელგიის სენატმა ხმის უმეტესობით შეიწყნარა სასტიკი კანონი წინააღმდეგ დუელებისა. ამ კანონის ძალით, თუ დუელზედ ვინმე მოკვდა, მკვლელი სიკვდილით დაისჯება, თუმცა დამტკიცებული არ იყვეს, რომ მკვლელს მართლა მოკვლა უნდოდა მოპირდაპირესი. სეკუნდანტები და მკურნალები, რომლებიც დუელს დაესწრებიან, დაისჯებიან 10—20 წლით დაპატიმრებითა. კანონი შეეხება აგრეთვე დუელებს აფიცერთა შორის. საზღვარ გარედ ზოგიერთ პოლკის უფროსები ხანდახან თითონ უბრძანებენ აფიცრებს ხმალში გასვლას. ახალის კანონის ძალით, ასეთი უფროსები დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდგან, პენსია არ მიეცემათ და პასუხის გებაშიაც მიეცემიან.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის ცნობილმა ინჟინერმა გეილმანმა დაამზადა ახალი ელექტრონული მატარებელი, ორთქლ-მავალის მაგიერ. ამ ახალ მატარებელს ამ ცოტა ხანში გამოსცდიან საფრანგეთში. ეს ელექტრონული მატარებელი, საშიკრიკოდ გაგზავნილი, საათში 200 ვერსამდე გაირბენს და პარიჟიდგან პეტერბურგს 14 საათში მივა, პარიჟიდგან სტამბოლს — 16 საათში, თითქმის ოთხჯერ სწრაფად ივლის ვიდრე ორთქლ-მავალი. გეილმანის ელექტრონულ მატარებელს, სისწრაფის გარდა, კიდევ ის უპირატესობა აქვს ორთქლ-მავალთან, რომ ერთიორად ნაკლები საწვავი უნდება (ქვა-ნახშირი იქმნება, თუ სხვა რამე, სულ ერთია). შიშობენ მხოლოდ ამ სისწრაფის დროს ლიანდაგიდგან არ გადმოსტესო. მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა, რადგანაც გეილმანის ელექტრონული მატარებელი სრულიად უზრუნველ ყოფილა თურმე ამ მხრივ.

— ექიმნ გერმან პაასს მოჰყავს რამდენიმე ცნობა ხანგრძლივ-სიცოცხლისა სხვა-და-სხვა მხარეს. ყველაზედ მეტი უცოცხლია მარიამ პიუს, რომელიც 1838 წელს გარდაიცვალა 158 წლისა. მარია პიუ ფრანგი იყო. სიბერის დროს ისე მოიკრუნჩხა და დაილია, რომ 42 გირვანქას მლივს-ღა იწონდა. ანტონ ჟურიხი (გერცოგოვინიდგან) 130 წლისა გარდაიცვალა. სიკვდილამდე ყოველ კვირა-უქმე დღეს წირვა ლოცვაზედ დაიარებოდა. 1892 წელს გარდაიცვალა ერთი სომეხი — მონაზონი 114 წლისა, რომელიც 98 წლის განმავლობაში მონასტრის ზღუდეს არ გამოსცილებია. ტომას პარრი გარდაიცვალა 152 წლისა, 1635 წელს ლონდონში. საყურადღებოა ის არის, რომ გამოჩენილმა ექიმმა ინგლისისამ გარვეიმ, რომელმაც გასჭრა პარრის გვამი, სთქვა, პარსი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა, რომ მეფეს არ მიეწვია ლონდონს და ცხოვრების წესი არ შეეცვალნაო.

— ექიმი გრავამ ბელლი ამბობს, რომ დედა თავის პატარა უმაწვილს დღეში, უკანასკნელი, 35,000 სიტყვას ეტიტინება, მაგრამ ამ 35,000 სიტყვაში უმაწვილს არც ერთი არ ესმისო.

დიდი მადლობა მომიხსენებია მათთვის, ვინც ღირს-მყო და მომიკითხა 20 ივლისს დეპეშითა თუ წერილით.

ილია ჭავჭავაძე

## დეპეშა

21 ივლისი

**პეტერბურგი.** სადამოჟნო გარდასახადის დეპარტამენტმა მისწერა სადამოჟნო დაწესებულებათ, 20 ივლისიდგან სადამოჟნო გარდასახადი გამოართვით გერმანიის გემებს, ნავთ სადგურზედ მოსულთ, ლასტზედ (ლასტი 2 ტონნაა) — 1 მანათი და ამდენივე სადგურიდგან გასვლის დროს.

---

გულ-კეთილობით და გულ-მოდგინებით ეკიდებოდა, რომ მაყურებელნი გაოცებაში მოჰყავდა. დაუღალავად შემოივლიდა მთელს უბანს და დაათვალიერებდა ბოგანო ხალხს. ადიოდა მაღლა სართულში და ჩადიოდა სარდაფებში, იკვლევდა იმ ხალხის ზნე ყოფა-ქცევასა და ნივთიერ მდგომარეობას, რომელსაც დახმარება ესაჭიროებოდა.

ბ-ნი ბუავო მეორე დღესვე შეუდგა ქ-ნ. დე-ვირმონის მინდობილობის ასრულებას. გაიგო თუ არა დედაბრის ბინა, მაშინვე იქითკენ გაეშურა.

იმ ვიწრო ოთახში, სადაც ბებერი სცხოვრობდა, მეექვსე სართულში, სინათლე სახურავში გაკეთებულ პაწაწკინტელა სარკმლიდგან ჩამოდიოდა. ჭერსა და კედლებს ეტყობოდა, რომ წვიმა ხშირი სტუმარი ყოფილა ბებრისა. ორი უბრალო ზურგიანი სკამი, ხმელი ტახტი დ დაკონკილი საბანი შეადგენდა ამ სენაკის მორთულობას. შესვლის უმალ ბ-ნ ბუავო ისეთმა სიცივემ აიტანა, რომ საჩქაროდ პალტოს ღილები თავით ბოლომდე შეიკრა.

— ქალბატონო სამსონ?! იკითხა მან.

— მე გახლავართ, უპასუხა დაბალის ხმით მოხუცმა და წამოდგა სკამიდგან, რომელიც ბუხართან ჰქონდა მიდგმული, სადაც ფიჩხის ცეცხლი ოდნავ-ღა ბჟუტავდა.

— ქ-ნმა დე-ვირმონისამ დამავალა...

— ვინ ქ-ნი დე-ვირმონისა? გააწყვეტინა მოხუცმა.

— მდიდარი ქალია. თქვენ მონსოს ბაღში უნახევხართ და უნდა შეეწიოს რამ აღმოგიჩინოთ...

— განა ცოტანი არიან, ვისაც ჩემზე გული შესტკივა!.. შენიშნა მოხუცმა.

— ქ-ნს დე-ვირმონისას უნდა, განაგრძო ბუავომ თავისის დაშაქრულის ხმით, თავისი უხვი ხელი გაგიწვდინოსთ. იმასა ჰგონია, რომ თქვენ ღარიბი ხართ და...

— მართალსა ბრძანებთ, ძალზე უბედური ვარ.

— იმას თქვენი შეწევნა სურს.

— მე მოწყალებას არავისა ვსთხოვ. ბ-ნ ბუავომ ერთს წამს ენას კბილი დააჭირა.

— მე თქვენი წყენა როდი მინდა, მაგრამ თქვენ, ვგონებ, უარი არ გეთქმით ცოტაოდენს შეშაზე და თბილ ტანისამოსზე.

— ჩემს შვილს არც ერთი აქვს და არც მეორე.

— განა შვილიცა გყავსთ?

— შვილიცა მყავდა და შვილისშვილიცა. ჩემი ოთხის წლის ანგელოზი შვილის-შვილი პარიჟის გარემოცვის დროს მომიკვდა. როცა ის ავად გამიხდა, ექიმმა მითხრა — რძე ასვიო. მაგრამ რძეს ჩვენისთანა საწყლებს, — აბა ვინ მიაქცევდა.

— თქვენი შვილი რაღა იქმნა?

— ჩემი შვილი?... შორს, ძალიან შორს... სადღაც ზღვას იქით, იმ ჯოჯოხეთურს ქვეყანაში, რომელსაც თქვენ ახალს კალედონიას *) უწოდებთ. ამ სიტყვებზე მოხუცის გულიდგან რაღაც სევდიანი ხრანტალი მოისმა.

— დიდი ხანია, რაც იქ არის?

— 1871 წ. სამს მკათათვეს ვერსალელებმა დაიჭირეს, მხოლოდ ერთხელ-ღა მაჩვენეს საპატიმროში და მას აქედ, აგერ ექვს წელიწად-ნახევარია, ერთმანეთი არ ვგინახავს.

ბ-ნმა ბუავომ უკანასკნელი სიტყვები ძლივს გაარჩია, ქალის მღელვარებამ დაჰფარა. არ იცოდა რა ეთქვა. ასე უბრალოდ გამოთქმულმა მწუხარებამ იგი უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდო.

— ქალბატონო, ბოლოს წარმოსთქვა მან, სარწმუნოებას შეუძლია ნუგეში გცესთ...

— სარწმუნოებაო!.. წამოიძახა მოხუცმა, ჩაქინდრული თავი მაღლა აიღო და თავის თანა-მომუსაიფეს პირდაპირ თვალებში დაუწყო ცქერა, — სარწმუნოება?! მე თქვენს სარწმუნოებაზედ ლაპარაკის მოსმენაც-კი არ მინდა! მღვდლები არ იყვნენ, რომ ჩემი შვილი დააბეზღეს? იმათის წყალობით არ მომტაცეს იგი?

— იმათ, უეჭველია, მხოლოდ თავისი მოვალეობა აღასრულეს, ღვთის შიშის კილოთი წარმოსთქვა ბ-ნმა ბუავომ.

— თქვენის ფიქრით, განა მოვალეობაა დედას შვილი წართვან?

— მომითმინეთ, თქვენი შვილი დამნაშავე იყო, იმან „ვერსალის კრებისა" წინააღმდეგ იარაღი აიღო.

მოხუცის ჩამქრალს თვალებში ნაპერწკლებმა იფეთქა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, დაიწყო მან ისეთის მტკიცე კილოთი, რომ კაცი ვერ მოიფიქრებდა, თუ მის გამხმარს სხეულში ამდენი ძალა მოიძებნებოდა, ამასთან მისმა ხრინწიანმა ხმამ საოცარი სიდიადე მიიღო — მე არც თქვენ გიცნობთ, და არც ის ვიცი, რა აზრისა და შეხედულობისა ბრძანდებით; მე ერთი გაუნათლებელი ქალი გახლავართ, ჩემი მამა, ქმარი და ძმა მუშები იყვნენ; ჩემს სიცოცხლეში ბევრი მიფიქრნია, — მას აქედ, რაც ჩემი მიშელი წამართვეს, ფიქრის მეტს არას ვაკეთებ. ჩემი დღე დათვლილია. გთხოვთ ცოტა ხანს ყური დამიგდოთ, თქვენის წოდების ხალხი ჩვენგან ცოტა რამეს არ გაიგებს.

თ. ს.

(დასასრული იქნება)

*) ჩვენებურის ციმბირის მაგიერია.

ეს გარდასახადი არ გამოერთმევა გერმანიიდგან მოტანილს იმ საქონელსა, რომელიც 21 ივლისამდე უკვე დამოჟნას ექმნება წარდგენილი.

**ლონდონი.** გუშინ აქედგან ციმბირისკენ წავიდა გემები: „მალიგინი," „უტინი" და „სკურატოვი", რელსებით დატვირთული, ციმბირის რკინის გზისთვის. იმედი აქვთ, რომ ამიერიდგან ინგლისსა და ციმბირ შორის ვაჭრობა დაიწყება.

22 ივლისი.

**პარიჟი.** სიამის ელჩმა მოახსენა დეველს, ჩემი მთავრობა თანხმაა საფრანგეთის ყველა მოთხოვნილება აასრულოსო. საფრანგეთი ითხოვს, უფლება გვქონდეს დავიჭიროთ მდინარე ცანგამური, ვიდრე განსაზღვრის საქმე გათავდებოდესო; გარდა ამისა, სიამი მოვალეა, ჯარი არ იყოლიოს ბატტამ-ბანგსა და სიემრემში, აგრედვე მეკონგის მარჯვენა მხარეს, კამბოჯის საზღვარიდგან 25 კილომეტრის მანძილზედ; დასასრულ, სიამელებს აეკრძალებათ ნავოსნობა დიდს ტბაზედ და მდინარე მეკონგზედ. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა შესწყვიტონ სიამის ნაპირებისთვას ზარბაზნის სროლა.

**ვენა.** აქ მალე ააგებენ ორს ეკკლესიას მართლ-მადიდებელთათვის: ერთს რუსეთის საელჩოსთან და ერთსაც სასაფლაოსთან. ორსავე ეკკლესიის აგება დაჯდება 1 მილიონი მანათი.

23 ივლისი

**ბერლინი.** კილიდამ იუწყებიან, რომ როცა ჯავშნიან ხომალდზე „ბადენზე" ზარბაზნებს ისროდნენ, გასკდა გულა ზარბაზნისა და მოჰკლა 9 კაცი, მათ შორის, 2 აფიცერი, სუბუქად დაშავდა 18 ჯარის-კაცი. პრინცი ჰენრიხი, რომელიც ამ დროს ხომალდში იყო, შემწეობას აძლევდა დაჭრილთ.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი $2^1/_2$—$3^0/_0$-მდე.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,66}$ | $7_{,69}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $152^3/_4$ | $153^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | $241^1/_4$ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . . | $225^1/_4$ | — ,, | — ,, |
| $4^0/_0$ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | $194^1/_4$ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| $6^0/_0$. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$. | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე ყ კ ლ ე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ო რ ო ბ ი ვით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი

ქ. ტფილისის მართ მადიდებელთა კუკიის სასაფლაოს, მოციქულთა სწორ წმ. ნინოს ეკკლესიის ამშენებელ სამზრუნველომ, შემოაკლო-რა ამ მდგომიარე წელს სასაფლაოს ქვით-კირის გალავანი, განიზრახა ააგოს სასაფლაოს ეკკლესიაც, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სახურო-მოძღვრო განყოფილების გეგმის თანხმად. ამ ეკლესიის აშენება კარაუდით დაჯდება 14 ათას მანათზედ მეტი.

ვინაიდგან სამზრუნველოს არ მოეპოვება ტაძრის ასაგები ფული, მიჰმართავს ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს ამ სასაფლაოს განკარგების საქმეს, არ დააშუროს თავისის წვლილის შეწირვა და მით მისცეს სამზრუნველოს საღსარი ეკკლესიის აგებისა.

მზრუნველობა სთხოვს ყველას, შემოწირულება გაუგზავნოს სამზრუნველოს წევრ ხაზინადარს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ალექსი ანტონის ძეს სუმენნიკოვს, ამ ადრესით: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 44, ან იმისავე სახელობაზედ მთავარ-მართებლის კანცელარიის სამხედრო ოლქთა გამგეობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ. (6—5)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—75)

„წერა-კითხვის საზოგადოების"

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი ვრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა. . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |

**მამოსადეგი ცნობანი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.**

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ერთი (41) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—31 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვ.), მესამე განყოფილებაში—4 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეშიაც—4 (10 და 11 წლ. ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.

2.) 41 ვაკანსიისაგან 37 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში—ტფილისის გუბერნიის ლარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს ხარჯზე და ერთი (1) ნახევარს ხარჯზე.

3.) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანათი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4.) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისგან, გ) მოწმობა ტფილისის სადავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატა ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილისყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის-რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანოს პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდან.

8) შესაძლებელია მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხრჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანს წელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.

10) მარიამობისთვის 26, 27 და 28 რიცხვებს მოხდება მისაღები ეკზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან ეგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალის $18^{93}/_{94}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს (4—21).

Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Іюля 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე